

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“
სხდომის ოქმი №2

ქ.ლანჩხუთი

28.03.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“
თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: იოსებ ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარის მდივანი კახაბერ ასკურავა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის წერილის განხილვა.

/მომხსენებელი ლელა ჩახვაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ფრაქციის თავმჯდომარის აჩევის შესახებ.

/მომხსენებელი იოსებ ჩხაიძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ფრაქციის მდივნის არჩევის შესახებ.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წესდებაში და პლატფორმაში ცვிலების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი კახაბერ ასკურავა/

5. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე- ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წესდების მე-6-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის შესაბამისად) ტოვებს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობას, რაც ცნობად იქნა მიღებული ფრაქციის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მეორე საკითხებზე- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მოადგილემ იოსებ ჩხაიძემ დააყენა საკითხი ფრაქციის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. ფრაქციის წევრებმა იოსებ ჩხაიძემ და ლელა ჩახვაძემ ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელეს კახაბერ ასკურავა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მოადგილემ იოსებ ჩხაიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება: ფრაქციის თავმჯდომარედ კახაბერ ასკურავას არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის მესამე საკითხებზე- ფრაქციის თავმჯდომარე კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ის ფრაქციის თავმჯდომარედ იქნა არჩეული საჭიროა არჩეულ იქნას ფრაქციის მდივანი. ფრაქციის წევრების მიერ მდივნის პოზიციაზე დასახელდა ლელა ჩახვაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება: ფრაქციის მდივნად ლელა ჩახვაძის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე- ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ დააყენა ინიციატივა ფრაქციის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ნაცვლად ეწოდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია, რაც გამოიწვევს წესდებაში და პლატფორმაში ცვლილებების შეტანას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება: ფრაქციას ეწოდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია „ძალა ერთობაშია“